გ. გუდაშვილი ასპარეზობისას.
(ამ შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-2 გვერდზე).



50 მეტრზე ქალთა რბენის ფინიშთან.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 36 (3266)
19
1967 წ.
თებერვალი,
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების
კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций
Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის
53-ე წელი

კაუნსილმენის სკოლა

ამ დღეებში ამერიკულ პრესაში გამოქვეყნდა სენსაციური ცნობა: „8 წლის დავიდ გრეიმ და მისმა 7 წლის ძმამ სიმონმა მონაწილეობა მიიღეს 1650 იარდზე თავისუფალი სტილით ცურვაში და იასპარეზეს შედეგებით: 23.19,0 და 23.44,3.

ამერიკისა და ყველა იმ ქვეყნის სპეციალისტთა აზრით, სადაც კი ცურვა სპორტის პოპულარულ სახეობად ითვლება, ეს არნახული მიღწევაა. არ უკვირს ეს წარმატება მხოლოდ ცნობილ ამერიკელ მწვრთნელს ჯ. კაუნსილმენს, ცურვაში ასაკობრივი ჯგუფების თეორიის ავტორს, რომელმაც ოლიმპიურ ჩემპიონთა და მსოფლიო რეკორდსმენთა შესანიშნავი თაობა აღზარდა.

„ეს წარმატება, — თქვა მან, — ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ცურვაში ვარჯიშს ადრეული ბავშვობიდანვე უნდა ვიწყებდეთ. ასაკობრივი ჯგუფების თეორიას რომ ვაყალიბებდით, ტყუილად როდი ვამახვილებდით ყურადღებას პატარების შეჯიბრებებზე, გამარჯვებებზე, ჯილდოებზე, მარცხზეც კი. რა ვუყოთ, რომ ეს ჯილდოები თავდაპირველად მშობლებს უფრო სჭირდებათ, ვიდრე თავად ნორჩ მოცურავეებს. მთავარია, რომ ბავშვები იძენენ ცურვისთვის აუცილებელ ჩვევებს, ეჩვევიან სპორტულ ბრძოლას, სპორტი მათთვის სასიცოცხლო ინტერესს იძენს".

ორი ვუნდერკინდის მამა — ფ. გრეი ამბობს, დავიდსა და სიმონს მხოლოდ სპორტისთვის ვამზადებო: „მათი მიღწევა ზღაპრულია. თავად მე მოცურავე გახლავართ, მაგრამ მსგავსი არაფერი მინახავს. ამ ასაკში ჯერ არავის უასპარეზია ასეთი წარმატებით. იმედი მაქვს, ჩემი ბიჭები ოლიმპიურ მედლებს დაისაკუთრებენ".

რა გვეთქმის, შეიძლება ეს იმედი გამართლდეს კიდეც, თუ პრესაში მათი წარმატებით გამოწვეულმა აჟიოტაჟმა ძმებს თავბრუ არ დაახვია.

ოსტატთა ოჯახი მრავლდება

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა: ს. კრამარენკოს, ვ. ბრუხტის, ი. ბაბაევს, ვ. გაჯიევს, ნ. ბოგდანოვს (ყველა — ბაქოს „ნეფტიანიკი"), ი. სკეჟს, ვ. პოლიაკოვს (ორივე — ცსკა), ვ. ქიტკუსს, ი. სიომინს (ორივე — მოსკოვის „სპარტაკი"), რ. კვახხვაძეს, ზ. ეპრალიძეს, მ. წივწივაძეს, გ. ზარიას, ა. წვერავას, მ. ასიტაშვილს (ყველა — ქუთაისის „ტორპედო").

[illegible]

◆ **მოსკოვი,** 18 თებერვალი. **ჩოგბურთელთა ზამთრის საკავშირო შეჯიბრებაში დღეს გამოვლინდნენ უძლიერესი წყვილები ქალთა და ვაჟთა შორის. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ვაჟთა დუეტების ასპარეზობამ: მეტრეველისა და ლიხაჩოვის წყვილმა დაამარცხა ლეიუსი და პარმასი. ქალებში ყველას აჯობა ბაკშეევა—დმიტრიევას წყვილმა.**

◆ დევენტერი, 18 თებერვალი. დღეს ჰოლანდიის ამ ქალაქში დაიწყო მოციგურავე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი. ასპარეზობამ პირველივე დისტანციაზე — 500 მეტრზე სწრაფრბენაში სენსაცია მოგვიტანა: აქ ყველას აჯობა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა მ. მეიერსმა. „ვერცხლს" ერთბაშად ორი სპორტსმენი დაეპატრონა — ი. ეგოროვა (სსრ კავშირი) და დ. ჰოლამი (აშშ). 1.500 მეტრზე რბოლაში გაიმარჯვა ცნობილმა ჰოლანდიელმა მოციგურავემ ს. კაიზერმა, II ადგილი დაიკავა ლ. სკობლიკოვამ. პირველი დღის ასპარეზობის შემდეგ დაწინაურდა კაიზერი. სკობლიკოვა II ადგილზეა.

●

საუკეთესო წყვილები: ბაკშეევა — დმიტრიევა, მეტრეველი — ლიხაჩოვი

●

სიურპრიზით დაიწყო...

თეთრ ბილიკებზე

გ რ ე ნ ო ბ ლ ი, 17 თებერვალი. მოსკოველმა ნ. მერკულოვამ VI ადგილი დაიკავა სამთომოთხილამურეთა წინასაოლიმპიადო შეჯიბრებების პირველ სახეობაში — სპეციალურ სლალომში. ასპარეზობა შამრუსში გაიმართა. ძალიან რთული ტრასა, რომელზეც გაისად სპორტსმენები ოლიმპიური ოქროს მედლებისთვის იბრძოლებენ (ტრასის სიგრძე 420 მ, სიმაღლეთა სხვაობა 129 მ, 59 კარი), მერკულოვამ ორჯერ გაიარა საერთო შედეგით 2.01,6. VII ადგილზეა ლენინგრადელი ა. სუხანოვა (ივანოვა). პირველი 3 ადგილი დაიკავეს შეჯიბრების მასპინძლებმა — ფრანგებმა, რომელთაგან საუკეთესო იყო 17 წლის მოსწავლე ფ. სტიური — 1.43,1.

სტარტზე გამოვიდა მხოლოდ 17 სპორტსმენი. გფრ-ის, შვეიცარიისა და, ავსტრიის სპორტსმენებმა ასპარეზობაზე უარი თქვეს პროტესტის ნიშნად: უკმაყოფილო არიან, კარგად ვერ დაგვაბინავესო. შამრუსში, რომელიც გრენობლს 40 კილომეტრითაა დაშორებული, სპორტსმენთა დაბინავება არ მოხერხდა. მოთხილამურეები მეზობელ შეჯიბრების ადგილს 12-15 კილომეტრით დაშორებულ სოფლებში ცხოვრობენ.

გრენობლში, 1968 წლის თეთრი ოლიმპიადის სარბიელზე, კვლავ გამოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნის მოციგურავეები. გაზაფხულმა სიმაგრე მოაკლო ბილიკს, ქარმა კი მტვერითა და სილით დაფარა იგი. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში მაღალ შედეგებზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. და მაინც, „სპრინტის მეფე" ე. გრიშინი, ფრანგების სიტყვით, თითქოს ლიანდაგზე მიცურავდა. იგი კარგად გამოვიდა 500-მეტრიან დისტანციაზე — 41,9. 3000 მეტრზე რბოლაში ლიდერობდა პ. ბრაუერი (გფრ) — 4.47,5. გრიშინი III იყო — 4.49,2. მოსკოველი სტუდენტი ო. სამოილოვი მას 0,3 წამით ჩამორჩა.

[illegible]

ფეხბურთელები თუ ლანდსკნეხტები?

ამერიკაში გაცხარებული ბრძოლაა ორ ლიგას შორის. ორივე ლიგას სურს ხელთ იგდოს ევროპულ ფეხბურთში (ამერიკულ ფეხბურთში არ აგერიოთ) შეჯიბრებების კონტროლის მონოპოლია. მას შემდეგ, რაც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა სერ ს. როუზმა ოკეანეს გაღმა იმოგზაურა, ერთ-ერთი ამ ორი ლიგიდან ფიფა-მ ოფიციალურად აღიარა. მეორე (მოვიხსენიოთ იგი № 2 ლიგად) არ აპირებს პოზიციის ასე იოლად დათმობას. ლიგას ამერიკის სატელევიზიო კომპანიები აფინანსებენ, რამდენიმე მისი მენეჯერი კი ბეისბოლის მენეჯერიცაა. ეს სახეობა კარგა ხანია იქცა ბიზნესის წყაროდ ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგრამ, რაკი კარგად ესმით, რომ ადრე თუ გვიან ბეისბოლი დაკარგავს ამ პოპულარობას, საქმოსნებმა გადაწყვიტეს ყოველი შემთხვევისთვის ხელთ ეგდოთ სპორტის ახალი, უფრო პროგრესული სახეობა.

და აი, № 2 ლიგამ ევროპაში დაგზავნა თავისი კომივოიაჟორები და ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელების შესყიდვა დააფალა. რამდენიმე ქვეყნიდან აშშ-ის წარმომადგენლები მაშინვე კუდამოძუებული გამოაბრუნეს. ასე მოხდა, მაგალითად, შვეციაში. ადგილობრივმა ფეხბურთელთა კავშირმა ოფიციალურად განაცხადა: ყველა ფეხბურთელსა თუ მწვრთნელს, რომელიც კი ამერიკულ ლიგასთან დადებს ხელშეკრულებას, სამუდამოდ ეკრძალება ფეხბურთის სარბიელზე გამოსვლა სამშობლოშიო.

დასავლეთ გერმანიაში კი სხვაგვარად მოიქცნენ ამერიკელ საქმოსანთა წინადადებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა გაზეთების ფურცლებზე გაირკვა ერთი საგულისხმო დეტალიც. ლიგისა და ფეხბურთელის ხელშეკრულების მე-15 მუხლში ნათქვამია:

„საჭიროების შემთხვევაში ამ ხელშეკრულებას მიეცემა ინტერპრეტაცია გამომდინარე შტატებისა და სახელმწიფოს კანონმდებლობიდან, რომლის თანახმადაც უნდა შესრულდეს მთავრობის ყველა მითითება და განკარგულება სახმელეთო თუ სამხედრო-საზღვაო ძალების მიმართ. აშშ-ის ეროვნული უბედურების შემთხვევაში ლიგის პრეზიდენტს უფლება აქვს ხელშეკრულება შეცვალოს".

აზრი სავსებით ნათელია: ფეხბურთელს, რომელიც ხელშეკრულებას დადებს ამერიკულ ლიგასთან, ყოველ წუთს შეიძლება ვიეტნამში უკრან თავი. სხვათა შორის, გფრ-ის პრესას ეს არაფრად მიაჩნია. გაზეთი „შპორტ-დეპეშე", მაგალითად, ასე ამშვიდებს ფეხბურთელებს: „ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა საცხოვრებლად ამერიკაში გადასული გერმანელი მოქალაქეები ჯარისკაცებად იქცევიან".

ერთი სიტყვით, ნუ შეშფოთდებიან დასავლეთგერმანელი ფეხბურთელები. განა სულ ერთი არ არის, ფეხბურთელად შეგისყიდიან თუ ლანდსკნეხტად? მთავარია — დოლარები...

სანტანა რწმენას არ ღალატობს

მოყვარულ ჩოგბურთელთა მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატის — უიმბლდონის ტურნირის გმირს, ესპანელ მ. სანტანას ცნობილი პროფესიული საჩოგბურთო ცირკის მეპატრონემ, ამერიკელმა ჯ. კრამერმა პროფესიონალთა რიგებში გადასვლა შესთავაზა. სანტანამ უარყო მისი წინადადება. „ვიცი, რომ ჩემი კარიერა სამუდამო არ არის, — განაცხადა სახელგანთქმულმა ჩოგბურთელმა, — ვიცი, რომ მომავლისთვის უნდა ვიზრუნო, მაგრამ პროფესიონალი მაინც არასოდეს გავხდები. ძალიან მიყვარს ჩოგბურთი და ვერ ვუღალატებ მას, — კორტის ტაკიმასხარად ვერ ვიქცევი".

„წლეულს მოყვარულ ჩოგბურთელთაგან სანტანამ პირველმა როდი თქვა უარი ესოდენ მომგებიან წინადადებაზე, — ამბობს კრამერი. — წლევანდელ ზამთარს თამამად შეიძლება ეწოდოს ზამთარი ჩვენი მღელვარებისა. ახლა ჩვენ იძულებული ვართ, თითქმის მთელი მსოფლიო შემოვიაროთ იმ მიზნით, რომ თუნდაც რამდენიმე მომგებიანი, განთქმული ვარსკვლავი გადმოვიბიროთ".

აი, რას ამბობს ცნობილი ავსტრალიელი პროფესიონალი ჩოგბურთელი რ. ლეივერი: „ფული თანდათან სპობს მოყვარულთა სპორტს. რა თქმა უნდა, არიან ისეთი სპორტსმენებიც, რომელთაც ვერავითარი საშუალებით ვერ გადმოიბირებ. სწორედ ეს აწუხებს კრამერს. დღითიდღე იზრდება მათი რიგები, ვინც ოლიმპიურ იდეებს ყველაზე მაღლა აყენებს, ვისაც არ სურს თავისი ახალგაზრდობა და ჯანი დოლარებს შეალიოს, არ სურს მოიქცეს ისე, როგორც მე და ჩემი კოლეგები მოვიქეცით".

ყოველი მხრიდან

მოსწავლის წერილი ჯარისკაცს

ამას წინათ თბილისის 131-ე საშუალო სკოლაში საბჭოთა არმიელის წერილი მოვიდა. იწერებოდა ვ. კუზმინი, ამ სკოლის მოსწავლეთა ფიზკულტურული კოლექტივის ყოფილი თავმჯდომარე. იგი მოსწავლეებს მოუთხრობდა თავის წარმატებაზე, განსაკუთრებით, სპორტში და სთხოვდა, მომწერეთ, თქვენ როგორღა გაქვთ საქმეო.

აი, სკოლის ფიზკულტურული კოლექტივის ახლანდელი თავმჯდომარის, მეათეკლასელი რ. ანგელოვის პასუხი: „ვალოდია, როგორც იცი, ჩვენს სკოლას წლეულს არსებობის 2 წელი უსრულდება. ეს ძალიან პატარა დროა, მაგრამ ჩვენმა ფიზკულტურელებმა უკვე მიაღწიეს წარმატებას. 1240 მოსწავლიდან 695 სპორტსმენია. შარშანდელი სასწავლო წელი ცუდად როდი დავამთავრეთ: ოცდაერთმა კალათბურთელმა და ცხრა ხელბურთელმა მოზრდილთა III თანრიგი მიიღეს, მე და გ. დანიელოვამ კი მძლეოსნობაში II თანრიგის ნორმატივი შევასრულეთ. 93 მოსწავლე მშთ ნიშნოსანი გახდა.

შარშან პირველად მივიღეთ მონაწილეობა 26 კომისრის რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადაში და გუნდები 8 სახეობაში გამოვიყვანეთ, წლეულს კი უკვე ათ სახეობაში ვიასპარეზებთ. კარგი შედეგები გვაქვს ხელბურთში, მძლეოსნობაში, კალათბურთში და ფეხბურთში. განსაკუთრებით ხელბურთი გვიყვარს. ამ სექციაში 92 მოსწავლეა გაერთიანებული. ბუნებრივია, მარტო მწვრთნელს, ფიზაღზრდის მასწავლებელ ლ. სოროკინს გაუჭირდება ამ „ლეგიონის" გაძღოლა. მაგრამ მას დიდ დახმარებას უწევენ მოსწავლეები. ვ. კირაკოსიანი და ა. სევასტიდი ბიჭებს ამეცადინებენ, ხოლო ს. ახობაძე — გოგონებს. მონდომებამ ნაყოფიც კარგი გამოიღო: შარშან ჩვენი სკოლის საშუალო და უფროსი ასაკის გოგონათა გუნდები რაიონისა და ქალაქის ჩემპიონები გახდნენ. 9 გოგონა ქალაქის ნაკრებში თამაშობს, მათგან სამი მეათეკლასელი — ვ. ილიუხინა, გ. ლაზარევა და თ. მელიკოვა — რესპუბლიკის ნაკრების ღირსებასაც იცავენ. გვყავს საიმედო ცვლაც. მაგალითად, მეცხრეკლასელი ა. და ე. სუპრუნები უკვე იმდენად დაოსტატდნენ, რომ მალე მათაც, ალბათ, დიდ სარბიელზე ვიხილავთ.

ჩვენს სკოლაში მუშაობს კიდევ ერთი მრავალრიცხოვანი სექცია, რომელშიც 77 ნორჩი კალათბურთელი მეცადინეობს (სექციას ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. ლიუბარსკი ხელმძღვანელობს). შარშან 12-13 წლის ბიჭების გუნდმა III ადგილი დაიკავა რაიონის კალათბურთელთა შეჯიბრებაში, 15-16 წლის ბიჭების ნაკრებმა კი — II. რაიონის ჩემპიონები გახდნენ მძლეოსანი გოგონები; მათგან ათმა რაიონულ კროსში სათანრიგო ნორმატივებიც შეასრულა.

საღამოობით სასკოლო სპორტდარბაზში ხშირად ნახავთ რინგზე მომეცადინე ნორჩ მოკრივეებს, რომელთაც საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობს „თბილგაზის" შემდუღებელი ა. ბორტნიკოვი. მისმა ვაჟმა ვალერიმ უკვე შეასრულა ჭაბუკთა II თანრიგის ნორმატივი. ასეთსავე წარმატებას მიაღწია ვალერის მეტოქემ ს. ომაროვმა. გულდასმით ვარჯიშობს სექციის დანარჩენი 28 ნორჩი წევრიც.

არ ვივიწყებთ მათაც, ვისაც ჯანმრთელობა შედარებით სუსტი აქვს. სკოლაში მუშაობს სამკურნალო ფიზკულტურის სპეციალური ჯგუფი (ჯგუფის ხელმძღვანელია ფიზაღზრდის მასწავლებელი ქ. კაპანაძე). ამ ჯგუფში ახლა 15 მოსწავლეა. მაგრამ ჩქარა მისი რიცხვი შემცირდება. მაგალითად, მეშვიდეკლასელი ა. სირკინა ადრე სამკურნალო ფიზკულტურის ჯგუფში მეცადინეობდა, მაგრამ გეგმაზომიერი ვარჯიშის შემდეგ უკვე შეუძლია სექციაში ჩაება. ამავე ჯგუფში მეცადინეობამ გამოაჯანსაღა მეცხრეკლასელი ა. ივანოვა, რომელიც ახლა ფიზაღზრდის გაკვეთილებზე თავის ამხანაგებთან ერთად მეცადინეობს.

ახლახან გავმართეთ შიდასასკოლო სპარტაკიადა, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა. ასპარეზობა ჩატარდა ორ ჯგუფად — V-VII და VIII-X კლასებისთვის. შეჯიბრების ყოველი ეტაპის დამთავრების შემდეგ ვუშვებდით საინფორმაციო ბიულეტენს, მოსწავლეებს ასპარეზობის შედეგებს ვაცნობდით. ხშირად ვმართავთ ამხანაგურ შეხვედრებს კლასებს შორის. მოვაწყეთ „მხტომელის დღე". ამ საინტერესო ღონისძიებაში 97 მოსწავლე მონაწილეობდა. ჭაბუკებში გაიმარჯვა მერვეკლასელმა ი. კაუნმა (გადახტა 155 სმ-ზე), ხოლო გოგონებში — მეცხრეკლასელმა ე. დანილოვამ (130 სმ). ამ დღეებში ჩავატარეთ „მორბენლის დღეც". ასპარეზობდა სულ 60 მოსწავლე და თითქმის ნახევარმა შეასრულა III თანრიგის ნორმატივი".

ანგელოვის წერილს მხოლოდ იმას დავუმატებთ, რომ 131-ე სკოლის (დირექტორი ჯ. იაკობაშვილი) ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს კიდევ მრავალი საინტერესო ღონისძიების ჩატარება აქვს განზრახული დიდი ოქტომბრის საიუბილეოდ. ყველგან იმატებს სპორტსმენთა რიცხვი, მოაწყობენ ახალ სარბენ ბილიკსა და ფრენბურთის მოედანს; უპირველესი ამოცანა კი მოსწავლეთა რაიონულ ასპარეზობაში კარგად გამოსვლაა.

გიმრავლოთ წარმატება, ნორჩო ფიზკულტურელებო!

ვ. ბუკია.

ინტერვიუ ტელეფონით

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი დაუკავშირდა ქუთაისის სპორტკავშირის თავმჯდომარეს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ლ. ახვლედიანს და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე:

● **როგორ ემზადებიან საოქტომბროდ ქუთაისის ფიზკულტურული კოლექტივები?**

— ახლა ბევრგან მიმდინარეობს შიდასაკოლექტივო სპარტაკიადები და უნდა ითქვას, საკმაოდ მაღალ დონეზეც მასობრიობისა და შედეგების მიხედვით.

● **რა მდგომარეობაშია ქალაქის სპორტული ბაზები და თუ გაქვთ გათვალისწინებული ახალი მოედნებისა და ბაზების მშენებლობა?**

— არსებული ბაზები კეთილმოწყობილია. დავიწყეთ სამაბაზნიანი საცურაო აუზის მშენებლობა. მალე შევუდგებით 25-მეტრიანი აუზისა და ტიპიური სპორტული დარბაზის მშენებლობასაც. რამდენიმე ხანში მზად იქნება მძლეოსნური მანეჟი. ცენტრალურ სტადიონზე ეწყობა სარბენი ბილიკები და მძლეოსნური სექტორები.

● **როგორ სრულდება თანრიგოსნებისა და ნიშნოსნების მომზადების გეგმა?**

— დღეისთვის თანრიგოსნებისა და ნიშნოსნების მომზადების წლიური გეგმა 30-35 პროცენტითაა შესრულებული. იმედი გვაქვს, ოქტომბრის დღესასწაულისთვის ვალდებულებას გადავაჭარბებთ.

● **როგორ ემზადებით რესპუბლიკური და საკავშირო სპარტაკიადებისთვის?**

— ქალაქის სპორტსაზოგადოებებსა და ფიზკულტურულ კოლექტივებში გაცხოველებული მზადებაა. ცურვასა და წყალში ხტომაში მაღალკვალიფიციური მწვრთნელები არ გვყავს, მაგრამ სხვა სახეობებში რესპუბლიკის ნაკრებს ჩვენც მივცემთ სათანადო შევსებას.

საიუბილეო სპარტაკიადებს — ღირსეული შეხვედრა!

ერთ-ერთი საუკეთესო

გუშინწინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე დაიწყო საქართველოს სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა მძლეოსნების ზამთრის პირად-გუნდური პირველობა, რომლის მიზანია რესპუბლიკური ნაკრების დაკომპლექტება ზამთრის საკავშირო ტურნირში საასპარეზოდ. შეჯიბრების პირველი დღის მაჩვენებლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. გუდაშვილის შედეგი. ბადროს ტყორცნაში სპორტის ოსტატის ნორმას მან ჯერ წინასწარ ტურნირში გადააჭარბა (54,64 მ), ხოლო ფინალში ეს მაჩვენებელი კიდევ ნახევარი მეტრით გააუმჯობესა, რაც წლეულს ერთ-ერთი საუკეთესოა სსრ კავშირში.

ამ სახეობაში თავი ისახელა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა გ. ხუციანიძემაც (მწვრთნელი შ. კილაძე), რომელმაც II თანრიგის ნორმატივი დეკემბერს საინსტიტუტო შეჯიბრებაში შეასრულა, ახლა კი I თანრიგის ნორმას გადააჭარბა.

ო. ივდოშვილი.

პირველი დღის ტექნიკური შედეგები ასეთია:

ქალები

რბენა: 50 მ — ლ. შაბანოვა („დინამო") — 6,7, თ. რომანოვა (ასკ) — 6.8, ც. ჩოლიაშვილი („კოლმეურნე") — 6,9; **400 მ** — ლ. პაბოკა („დინამო") — 1.04,1, რ. შჩიკოვსკაია („ლოკომოტივი")—1.04,3, ს. პერვიშევა („დინამო") — 1.06,4; **სიმაღლეზე ხტომა** — ს. ნავორნაია („ლოკომოტივი") — 150, ქ. ჩუბინიძე — 150, ზ. ხალიანი (ორივე — „სპარტაკი") — 145; **ბირთვის კვრა** — მ. თათარაშვილი („კოლმეურნე") — 13,55, ლ. ტულუში („დინამო") — 13,22, ქ. კახიშვილი („განთიადი") — 12,78; **შუბის ტყორცნა** — ც. ლიპარტელიანი („კოლმეურნე") — 38,20, ს. პოლი („დინამო") — 35,20, ზ. ნანიევა („ბურევესტნიკი") — 30,54.

ვაჟები

რბენა: 50 მ — რ. მამალაძე („ბურევესტნიკი") — 5,7, ა. ანტონოვი („დინამო") — 5,8, ზ. სარქისიანი („სპარტაკი") — 5,9; **400 მ** — ტ. ბახტაძე („ლოკომოტივი") — 49,6, ი. პრიმინი — 51,0, ჯ. სხულუხია (ორივე — „ბურევესტნიკი") — 51,1; **1000 მ** — ა. კურზანოვი („სპარტაკი") — 2.34,0, ი. სოვეტკინი („ბურევესტნიკი") — 2.34,2, ვ. შულგინი („დინამო") — 2.38,0; **სიგრძეზე ხტომა** — რ. ქვაჩაკიძე — 718, ი. ჩირიკაშვილი (ორივე — „ბურევესტნიკი") — 695, რ. ჩუბინიძე („სპარტაკი") — 687; **სიმაღლეზე ხტომა** — რ. ამბარიანი (ასკ) — 195, ი. არშბა — 190, ი. ბოლქვაძე (ორივე — „დინამო") — 185; **ბადროს ტყორცნა** — გ. გუდაშვილი („დინამო") — 55,14, ვ. ტარანი („განთიადი") — 49,34, გ. ხუციანიძე („ბურევესტნიკი") — 46,84; **შუბის ტყორცნა** — ქ. გორძამაშვილი („დინამო")—68,70, ლ. ნანიევი („განთიადი") — 63,54, მ. გრივა („ლოკომოტივი") — 62,10.

შესანიშნავი ტრადიცია გრძელდება... გუშინ დედაქალაქის ვოგზალს კვლავ ეწვია ტურისტული მატარებელი „შოთა რუსთაველი". ამჯერად მან თბილისს ჩამოიყვანა გუდაუთის რაიონის მშრომელები. სადგურის მოედანზე სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს დედაქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, მრეწველობისა და კულტურის მოწინავე ადამიანებმა. შემდეგ გუდაუთელებმა დაათვალიერეს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

სურათზე: გუდაუთის რაიონის მშრომელთა ერთი ჯგუფი სადგურის მოედანზე.

ფოტო შ. გოქაძისა.

ვრცელი სარბიელი

ასეა მუდამ: მომავლის გეგმას რომ სახავენ, ჯერ განვლილ გზას გადახედავენ, აწონ-დაწონიან, რა გააკეთეს და რა შეიძლება სამერმისოდ გაკეთდეს, რათა წინსვლა თვალსაჩინო იყოს. თბილისის საავეჯო საწარმოო გაერთიანება „განთიადის" ფიზკულტურულმა კოლექტივმა შარშან ცუდად როდი იმუშავა. უმთავრესი ყურადღება მასობრივ-გამაჯანსაღებელ საქმიანობას ეთმობოდა. თევზჭერის სექცია, რომელსაც ხის სადურგლო საამქროს ოსტატი ს. ბალაევიჩი ხელმძღვანელობს, სწორედ მაშინ ამუშავდა მთელი მონდომებით და ახლა 104 წევრს აერთიანებს. თევზჭერის მოყვარულები სასასპარეზოდ იყვნენ ალაზანზე, სიონის, მინგეჩაურის წყალსაცავებზე და სხვაგან.

ვალში არც ტურიზმის მოყვარულნი დარჩნენ. სამი წლის წინათ ტურისტულ ლაშქრობებში 186 კაცი მონაწილეობდა, ერთი წლის მერე — 336, შარშან კი ეს ციფრი 444-მდე გაიზარდა. მათგან სამოცდაცხრამეტმა სსრ კავშირის ტურისტის სამკერდე ნიშანიც კი დაიმსახურა.

საინტერესო იყო შიდასაკოლექტივო ჯანმრთელობის სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შეიტანეს ყველასთვის ხელმისაწვდომი სახეობები — მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიის სროლა, ჭადრაკი, შაში, თევზჭერა და ბაგირის გადაძალვა. 451 მონაწილე — ასეთია ამ ტურნირის მთავარი შედეგი. რაც შეეხება ჩემპიონობას, იგი ისევ მექანიკური საამქროს ფიზკულტურელებმა დაისაკუთრეს.

განთიადელმა სპორტსმენებმა უფრო დიდი მასშტაბის შეჯიბრებებშიც გამოიჩინეს თავი, რის შედეგად შარშან 5 პირველი, 48 მეორე, 61 მესამეთანრიგოსანი, მშთ 67 ნიშნოსანი, 20 მსაჯი და 69 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი მოამზადეს. ახლა ამ საწარმოს ყოველი მეორე თანამშრომელი ფიზკულტურელია. ასეთია თბილისელ მეავეჯეთა მიერ შარშან განვლილი გზა.

სამერმისო გეგმების შედგენა ოქტომბრის 50 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავი ვალდებულებებით დაიწყეს. გადაწყვეტილი აქვთ 7 ნოემბრისთვის ფიზკულტურელთა კოლექტივი 100 კაცით გაზარდონ; შექმნან ხელბურთის, ძალოსნობის, ველოსპორტისა და ცურვის სექციები; მიაღწიონ იმას, რომ წლის განმავლობაში გამართულ შეჯიბრებებში ჩაებან მუშა-მოსამსახურეთა 50 პროცენტი; მოამზადონ მშთ 70 ნიშნოსანი და სხვადასხვა თანრიგის 100 სპორტსმენი, 50 საზოგადოებრივი ფიზორგი, ინსტრუქტორი და მსაჯი; გამართონ სპორტული საღამოები — „შრომა და სპორტი", მოაწყონ საწარმოს სპორტსმენებისა და ფიზკულტურელთა აქტივის შეხვედრა შრომის მოწინავეებთან (ამ შეხვედრაზე შეაჯამებენ კიდეც გაწეული მუშაობის შედეგებს).

ვალდებულებაში ისიც წერია, რომ საწარმოს სპორტსმენებს გადაწყვეტილი აქვთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

ერთი სიტყვით, სარბიელი ფართოა. გვჯერა, მეავეჯეები თავს არ შეირცხვენენ. საამისოდ უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები: ამწყობი საამქროს მუშამ ე. გოლდინმა მაგიდის ჩოგბურთში სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმა შეასრულა, ა. ჯირანაშვილმა კი პროფკავშირთა ზამთრის რესპუბლიკურ სპარტაკიადაში ისახელა თავი — სპორტის ოსტატობა მოიპოვა სამთო-სათხილამურო სპორტში.

მალე დაიწყება ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა. შემდეგ კი... შემდეგ, მეავეჯე-სპორტსმენები საქალაქო სპარტაკიადაში ცდიან ძალას.

ვ. ბერიკაშვილი.

საქართველოს 10 საუკეთესო

ცურვა

1966 წლის შედეგების მიხედვით

◆

ზურგზე ცურვა 100 მ — ე. ხიმჩიანი — 1.08,2 (42), თბილისი, „დინამო"; გ. კასატკინი — 1.08,4 (50), თბილისი, „დინამო"; ჰ. შიხიკიანი — 1.10,4; ი. ოვანეზოვი — 1.10,5 (48), თბილისი, „დინამო"; ბ. ნიკიტინი — 1.11,0; ბ. ლექავა — 1.12,4 (45), თბილისი, „ბურევესტნიკი"; ა. არტამონოვი — 1.12,9; ვ. პარაფილოვი — 1.13,5 (49), თბილისი, „განთიადი"; ს. კრავცოვი — 1.13,8; ა. იოაკიმიდი — 1.13,8.

საშუალო შედეგი: 1965 წ. — 1.12,2, 1966 წ. — 1.11,5.

ზურგზე ცურვა 200 მ — ე. ხიმჩიანი — 2.28,9; გ. კასატკინი — 2.30,0; ი. ოვანეზოვი — 2.37,1; ა. ხეხტოიანი — 2.38,0 (51), თბილისი, „დინამო"; რ. შაინიანი — 2.39,8 (51), თბილისი, „დინამო"; ჰ. შიხიკიანი — 2.39,8; ვ. პარაფილოვი — 2.40,4; ვ. სნიმშიკოვი — 2.40,5 (53), თბილისი, „დინამო"; ს. კრავცოვი — 2.41,8; ზ. ზვერევი — 2.46,6 (51), თბილისი, „დინამო".

საშუალო შედეგი: 1965 წ. — 2.37,8, 1966 წ. — 2.38,3.

ბატერფლაით ცურვა 100 მ — ვ. ზლობინი — 1.05,2 (43), სოხუმი, „დინამო"; ვ. დოლინსკი — 1.05,8 (47), თბილისი, „დინამო"; ა. იოაკიმიდი—1.06,0; გ. კარბუკოვი — 1.07,4; რ. კრისანოვი — 1.07,5 (47), თბილისი, „განთიადი"; ბ. ნიკიტინი — 1.09,0; ჰ. შიხიკიანი — 1.09,1; ი. შკინინი — 1.10,0 (51), თბილისი, „განთიადი"; ქ. ონისიმოვი — 1.11,8; ჰ. გევორქოვი — 1.12,1 (53); თბილისი, „განთიადი"; ს. მატვეევი — 1.12,1.

საშუალო შედეგი: 1965 წ. — 1.08,6, 1966 წ. — 1.09,6.

ბატერფლაით ცურვა 200 მ — ა. იოაკიმიდი — 2.22,6; ვ. დოლინსკი — 2.27,0; ვ. ზლობინი — 2.29,0; რ. კრისანოვი — 2.34,4; ჰ. შიხიკიანი — 2.36,8; ვ. ჰარბაძე — 2.48,8; ვ. ონუფრიენკო — 2.49,6; ჰ. გევორქოვი — 2.51,2; ი. ბოროდინი — 2.51,4 (52), თბილისი, „განთიადი"; ს. კრავცოვი — 2.54,6.

საშუალო შედეგი: 1965 წ. — 2.48,8, 1966 წ. — 2.40,5.

კომპლექსური ცურვა 200 მ — ა. იოაკიმიდი—2.24,8; ჰ. შიხიკიანი — 2.26,8; ბ. ნიკიტინი — 2.28,4; გ. კარბუკოვი — 2.32,7; ი. ოვანეზოვი — 2.37,1; ი. კირდიანოვი — 2.37,3; ე. სიდელნიკოვი — 2.37,3; ე. ხიმჩიანი — 2.38,0; ქ. ონისიმოვი — 2.38,2; ი. ფუნიკოვი — 2.38,7.

საშუალო შედეგი: 1965 წ. — არ ყოფილა, 1966 წ. — 2.33,8.

კომპლექსური ცურვა 400 მ — ა. იოაკიმიდი — 5.08,4; ჰ. შიხიკიანი — 5.12,2; ბ. ნიკიტინი — 5.21,5; ა. ხეხტოიანი — 5.28,8; გ. კარბუკოვი — 5.33,5; ქ. ონისიმოვი — 5.42,7; ე. ხიმჩიანი — 5.47,0; ს. კრავცოვი — 5.50,0; ე. სიდელნიკოვი — 5.52,6; რ. კრისანოვი — 5.53,2.

საშუალო შედეგი: 1965 წ. — 5.42,6, 1966 წ. — 5.35,0.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 28, 33, 34.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიმდინარეობს ზამთრის საკავშირო გათამაშება ფეხბურთში გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე. ჩვენს სურათებზე ასახულია ამ შეჯიბრებათა მომენტები: მარცხნივ — მატჩი ქუთაისში ადგილობრივ „ტორპედოსა“ და ერევნის „არარატს“ შორის. ქუთაისელთა თავდამსხმელს ლ. ნოდიას გააქვს მეორე ბურთი ერევნელთა კარში; მარჯვნივ — მატჩის მომენტი დუშანბეში მოსკოვის „სპარტაკსა“ და ყარაგანდის „შახტიორს“ შორის.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა და რ. პოზდნიაკოვისა (საკდესი).

მძლეოსნობა-67

რას გვპირდება ახალი მძლეოსნური წელი? როგორაა კალენდარი აგებული, როგორია საბჭოთა კავშირის საუკეთესო მორბენლების, მხტომელების, მტყორცნელების პერსპექტივები, გამოვლინდნენ თუ არა სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატთა შორის ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენები, რომელთაგანაც შეიძლება მაღალ შედეგებს მოველოდეთ? აი, ამაზე ესაუბრა აას-ის კორესპონდენტი ი. ბარუ ვ. პოპოვსა და ა. კომაროვს. პირველი ამას წინათ ჩვენი ქვეყნის ვაჟთა, ხოლო მეორე — ქალთა ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს.

ჩვენი მძლეოსნური ელიტის მწვრთნელთა წრე მნიშვნელოვნად გაფართოვდა. მაგალითად, მათი რიგები შეავსეს: კიეველმა ი. ტოკარმა (სტაიერული რბენა), ყაზახეთიდან ფ. სუსლოვმა (საშუალო დისტანციები), მოსკოველმა ბ. ტოკარევმა (სპრინტი); ქალებს ავარჯიშებენ მოსკოველები ი. კაშკაროვი (სიმაღლე), ი. ერიომინი (სიგრძე), ვ. ოკოროკოვი (800 მ რბენა).

არსებითად, წლეულს საბოლოოდ ჩამოყალიბდება ოლიმპიური გუნდი, რა თქმა უნდა, მის შემადგენლობაში შეიძლება ზოგიერთი ცვლილება სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის შედეგად მოხდეს, მაგრამ ეს ცვლილებები არ იქნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. გვაგონდება, მელბურნის ოლიმპიადის წინ, 1956 წლის სპარტაკიადაში მოულოდნელად ყველა ფავორიტზე წინ აღმოჩნდა ლატვიელი შუბის მტყორცნელი ი. იაუნზემე. იგი, რა თქმა უნდა, ნაკრებში ჩარიცხეს და არც შემცდარან — ავსტრალიიდან იაუნზემემ ოქროს მედალი ჩამოიტანა. მაგრამ ასეთი შემთხვევები მეტისმეტად იშვიათია.

შეჯიბრებათა კალენდრის შედგენისას ითვალისწინებდნენ, რომ წლევანდელი სეზონი წინაოლიმპიურია და ნაკრების შემადგენლობის 90 პროცენტი მაინც ახლა უნდა განისაზღვროს. შევჩერდეთ ამ სეზონის ყველაზე დამახასიათებელ მხარეებზე, ყველაზე საინტერესო მოვლენებზე.

კალენდრით შეჯიბრებები იანვრიდან ნოემბრამდეა გათვალისწინებული. იანვრის „ოთხი მანეჟის ტურნეს“ შედეგები უკვე ცნობილი გახლავთ. ეს იყო პირველი მძლეოსნური მერცხალი. თებერვალ-მარტში რამდენიმე დიდი ტურნირი გაიმართება დახურულ შენობაში (სსრ კავშირის პირველობა მოსკოვში, სსრ კავშირ — გდრ-ის მატჩი, ევროპის პირველობა პრაღაში და ა. შ.). მძლეოსნები ღია ცისქვეშაც იასპარეზებენ (ესენტუკში ჩატარდება ქვეყნის პირველობა კროსში).

რომ დათბება, ასპარეზობათა რიცხვიც იმატებს. აპრილის ბოლოს სოჭი უმასპინძლებს სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ოლიმპიურ გუნდებს, მაისში ჩატარდება „პრავდის“ ტრადიციული კროსი და მოძმე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდების ზონალური მატჩები. ყველაზე მეტი შეჯიბრება ივნის-ივლისში გაიმართება. კუცინსკის მემორიალი ვარშავაში, გფრ—სსრ კავშირისა და პოლონეთ — სსრ კავშირის მატჩები, ზნამენსკების მემორიალი მოსკოვში, ევროპის თასის ნახევარფინალები ქალებისა (ოსლოში) და ვაჟებისთვის (სტოკჰოლმში) და, რა თქმა უნდა, სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადა.

მძლეოსნები არც აგვისტო-სექტემბერში მოიწყენენ. საკმარისია დავასახელოთ უნივერსიადა ტოკიოში, ევროპის თასის ფინალი (ქალებისა და ვაჟებისთვის) კიევში. ოქტომბერში საბჭოთა ათლეტები გაემგზავრებიან მეხიკოს წინაოლიმპიურ კვირეულზე, მონაწილეობას მიიღებენ სპორტულ სიარულში ლუგანოს თასის გათამაშებაში და სეზონს დაამთავრებენ ნოემბრის სტარტებით სოჭში, კისლოვოდსკსა და კიშინიოვში. ასეთია წლის უმთავრესი მძლეოსნური ღონისძიებების არასრული სია.

ნაკრების ხელმძღვანელები აღნიშნავენ, რომ ჩვენი მოწინავე მძლეოსნების წვრთნის გეგმები მეტად ინდივიდუალურია. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ რომელიმე მათგანი ამა თუ იმ შეჯიბრებაში არ გამოვა. ისე კი, შარშანდელთან შედარებით, სტარტების რიცხვი წლეულს საგრძნობლად გაიზრდება.

ქვეყნის ნაკრების კანდიდატთა შერჩევა მათი ბოლო ასპარეზობის შედეგების შესაბამისად ხდება. მხედველობაში მივიღებთ ასაკსაც. ნაკრების შემადგენლობაში ჯერჯერობით თქვენ ვერ ნახავთ, მაგალითად, ისეთ ცნობილ სპორტსმენებს, როგორიც არიან მორბენალი ვ. არხიპჩუკი, ხამხტომელები ო. ფედოსეევი, ვ. კრავჩენკო და ა. ალიაბიევი და ზოგიერთი სხვა. ეს როდი ნიშნავს, თითქოს ვეტერანებისთვის ნაკრების კარი დახურულია, მაგრამ იმედს უმთავრესად მაინც ახალგაზრდობაზე ვამყარებთ.

როცა ახლანდელი ნაკრების შემადგენლობაზე ვლაპარაკობთ, შეიძლება აღინიშნოს, რომ გუნდში საგრძნობლად გაიზარდა მოსკოველთა კუთრი წონა; მეორეს მხრივ, გაფართოვდა ეგრეთწოდებული პერიფერიების მძლეოსანთა წარმომადგენლობა. საკმარისია დავასახელოთ, თუნდაც, რიაზანი, კემეროვო, კიროვი, პოლტავა, გომელი, ქუთაისი, სოხუმი, პენზა, მილეროვო, ხააპსალუ, ორიოლი, ბუხარა, ნოვაია კახოვკა, ევპატორია და სხვ. ყურადსაღებია ისიც, რომ ნაკრებისთვის იმედის მომცემ სპორტსმენებს ისევ და ისევ ვერ გვაწვდიან ჩვენი სამხრეთის რესპუბლიკები — თურქმენეთი და ტაჯიკეთი, თუმცა იქ მთელი წლის განმავლობაში შეიძლება ვარჯიში.

გუნდში შევიყვანეთ ახალგაზრდა, ნაკლებად ცნობილი სპორტსმენები, რომელთაგან უახლოეს პერიოდში მნიშვნელოვან წინსვლას უნდა ველოდეთ. ესენი არიან (ფრჩხილებში ნაჩვენებია დაბადების წელი): ვაჟთა სპრინტში — ბაქოელი ვ. კასატკინი (1946), რიაზანელი ი. ხლოპოვი (1946), მოსკოველები ა. ალტუხოვი (1946), ა. ლებედევი (1946), ა. ბრატჩიკოვი (1947). მწვრთნელები განსაკუთრებით დიდ იმედს ამყარებენ 400 მეტრზე რბენაში ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონ ბრატჩიკოვზე. შესანიშნავი ფიზიკური (სიმაღლე 183 სმ, წონა 81 კგ) მონაცემებისა და მტკიცე ნებისყოფის მქონე სპორტსმენი მეტად შრომისმოყვარეცაა. ვინ იცის, იქნებ სწორედ მას უწერია ა. იგნატიევის უძველესი საკავშირო რეკორდის გაუმჯობესება.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ცოტა გვყავს საშუალო და გრძელ მანძილებზე მორბენალი ახალგაზრდები. სამაგიეროდ, თარჯმორბენალთა შორის გამოჩნდნენ საიმედო სპორტსმენები: ლენინგრადელი ვ. კასიანოვი (1946), პოლტაველი ა. დემუსი (1947), გომელელი ე. გორსკი (1947).

სიმაღლეზე ხტომაში ნიჭიერ სპორტსმენებად გაგვაცნეს თავი მოსკოველმა ვ. გავრილოვმა (1946) და კუიბიშეველმა ა. სტადნიკოვმა (1947), რომლებმაც შესაბამისად უკვე დაძლიეს 214 და 210 სმ.

ტალინელი ტ. ლეპიკი (1946) უკვე 803 სმ სიგრძეზე გადახტა. იგი (სიმაღლე 193 სმ, წონა 84 კგ) ტექნიკურად კარგადაა მომზადებული. შეიძლება ვიქონიოთ ევროპის ჭაბუკთა პირველობის მეორე პრიზიორის — როსტოველი ვ. სკიბენკოს (1947) იმედიც.

ლენინგრადელი ა. კაინოვი (1947) 16,02 მეტრს გადაევლო სამმაგი ნახტომით, მისმა თანატოლმა, მოსკოველმა ნ. დუდკინმა კი 15,98 მეტრს მიაღწია. სვერდლოვსკელმა ი. ხანაფინმა (1946) 481 სმ დაძლია ჭოკით. ჯერჯერობით მოისუსტებს ლენინგრადელი ვ. ტალალაისა (1946) და ოდესელი ლ. ლიუშენკოს (1947) მაჩვენებლები.

მტყორცნელებიდან უნდა გამოვყოთ „უროს სპეციალისტები“ — მოსკოველი მ. კლიუევი (1945) და ვოლგოგრადელი ი. ამმარინი (1947), ბირთვის მკვრელებში კი — ტარტუელი ა. ტემერტი (1947).

ბევრი საიმედო ახალი სპორტსმენი გამოჩნდა ქალებში. მაგალითად, სპრინტში — როსტოველი ე. მოლოდცოვა (1948), ვორონეჟელი მ. ტეტკინა (1947), მოსკოველი ნ. ბესფამილნაია (1950) და ლენინგრადელი მ. ნიკიფოროვა (1950), 400 მეტრზე რბენაში — მოსკოველი ნ. რუნოვა (1946), 800 მეტრზე — ვ. ლუკიანოვა (1946) მოსკოვის ოლქიდან და ალმაათელი ნ. პოლუსუხინა (1947). უდავოდ ნიჭიერი თარჯმორბენლები არიან მოსკოველი ლ. ალფეევა (1946) და ლენინგრადელი ნ. ბეკკაია (1948).

ლენინგრადელმა სიგრძეზე მხტომელმა თ. კაპიშევამ (1948) 614 სმ დაძლია. კაპიშევასთან ჯერჯერობით 4 სანტიმეტრს აგებს მისი თანატოლი ტ. ორლოვა (მოსკოვის ოლქი). მათ საგრძნობლად მიუახლოვდა მოსკოველი ტ. ბიჩკოვა (1950).

ამას წინათ მოსკოვის სპორტის სასახლეში მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება გაიმართა. მაყურებლები განსაკუთრებით გულთბილად შეხვდნენ 16 წლის მოსწავლეებს, სიმაღლეზე მხტომელებს, ჩერნოვიცელ ვ. კოზირსა და ბაქოელ ნ. ბრინცევას. ამ გოგონებმა შესანიშნავად იასპარეზეს და შესაბამისად 174 და 171 სმ აჩვენეს. მათ კარგი პირადი მიღწევები და კიდევ უკეთესი მონაცემები აქვთ. შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი ახალგაზრდა სპორტსმენი ჩვენი ოლიმპიური იმედია.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შედგენილია ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრებიც. გუნდში შედიან 1948-50 წლებში დაბადებული გოგონები და ჭაბუკები და, თუმცა მეხიკოს გზას არც სხვა იუნიორებს უღობავს ვინმე, მწვრთნელები ძირითადად მათ მოამზადებენ 1972 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის.

ცხადია, არ უნდა ვიგულისხმოთ თითქოს მთელი იმედი მხოლოდ ზემოჩამოთვლილ სპორტსმენებზეა დამყარებული. არა. საკმარისია ითქვას, რომ ამჟამად ნაკრებში 101 ქალი და 162 ვაჟია (თუ იუნიორებს არ ჩავთვლით). ერთი სიტყვით, არჩევანი დიდია.

ვფიქრობთ, დღესდღეობით უაზრობაა იმის წინასწარმეტყველება, თუ როგორ გამოვლენ სსრ კავშირის მძლეოსნები 1967 წელს, ვინ და რა შედეგს მიაღწევს.

მთავარია კარგად მოვემზადოთ მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის; რევანში ავიღოთ ტოკიოს მარცხის შემდეგ. ერთი სიტყვით, ვეძიოთ, შევქმნათ, ვიმუშაოთ ბევრი და დაძაბულად, უხმაუროდ, საქმიან ვითარებაში, აზრიანად წარვმართოთ წვრთნის პროცესი, ყოველი ნაბიჯი შევამოწმოთ და, თუ საჭირო იქნა, შევცვალოთ კიდეც.

„სოვეტსკი სპორტი“ პრიზი-67

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 19 თებერვლისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
I ჯგუფი						
„ტორპედო“ (ქუთაისი)	1	1	0	0	4—2	2
ასკ (ოდესა)	1	1	0	0	2—0	2
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	1	1	0	0	1—0	2
„დინამო“ (თბილისი)	1	0	0	1	0—1	0
„არარატი“ (ერევანი)	1	0	0	1	2—4	0
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	1	0	0	1	0—2	0
II ჯგუფი						
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	1	1	0	0	2—0	2
ასკ (როსტოვი)	1	0	1	0	1—1	1
„დინამო“ (მოსკოვი)	1	0	1	0	1—1	1
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	1	0	1	0	1—1	1
„პოლიტოტდელი“ (ტაშკენტის ოლქი)	1	0	1	0	1—1	1
„შახტიორი“ (დონეცკი)	1	0	0	1	0—2	0
III ჯგუფი						
„დინამო“ (მინსკი)	1	1	0	0	8—1	2
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	1	1	0	0	1—0	2
„ტორპედო“ (მოსკოვი)	1	0	1	0	0—0	1
„ზარია“ (ლუგანსკი)	1	0	1	0	0—0	1
„ჟალგირისი“ (ვილნიუსი)	1	0	0	1	0—1	0
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	1	0	0	1	1—8	0
IV ჯგუფი						
„კაირატი“ (ალმა-ათა)	1	1	0	0	2—0	2
ცსკა	1	1	0	0	1—0	2
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	1	1	0	0	1—0	2
„ენერგეტიკი“ (დუშანბე)	1	0	0	1	0—1	0
„შახტიორი“ (ყარაგანდა)	1	0	0	1	0—1	0
„კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	1	0	0	1	0—2	0

გუშინ...

ვეტერანის სახელობისა...

რუსთავში გაიმართა სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშების მორიგი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ გურჯაანის „ალაზანი“ და ქობულეთის „შუქურა“. უპირატესობას თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში ქობულეთელი ფეხბურთელები ფლობდნენ, მაგრამ ამაოდ. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

რ. გაბრიჩიძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ფრე არმიელებთან

ოჩამჩირე. აქ, „შრომითი რეზერვების“ სტადიონზე, შედგა საკონტროლო მატჩი ფეხბურთში. ცსკა-ს ძირითადი შემადგენლობა შეხვდა ტყიბულის „მეშახტეს“.

საინტერესო თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

რ. ქიშმარია.

აფხაზეთში

საბჭოთა კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები (მთავარი მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ე. ლიადინი) სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე აფხაზეთს გაემგზავრა.

დამაკმაყოფილებლად...

გაიმართა დიდი ჯიხაიშის საცდელ-საჩვენებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტკლუბ „ლელოს“ კონფერენცია. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა თ. ლეკვეიშვილი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 1966 წელს მომზადდა 47 პირველთანრიგოსანი, 81 — მეორეთანრიგოსანი, 175 — მესამეთანრიგოსანი. გადაჭარბებით შესრულდა მშო ნიშნოსანთა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმაც. სპორტკლუბის ნაკრები გუნდები რეგულარულად მონაწილეობდნენ სხვადასხვა შეჯიბრებაში და მუდამ საპრიზო ადგილებზე გადიოდნენ.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში ბ. გუჯაბიძე, პირველთანრიგოსნები მ. სტურუა, ე. თურმანიძე, ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგე ა. ქუთათელაძე და „კოლმეურნის“ სამტრედიის რაისაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. ვაშაკიძე.

სპორტული კლუბის განვლილი მუშაობა შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

კონფერენციამ აირჩია „ლელოს“ გამგეობის ახალი შემადგენლობა. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია პ. მიქაძე, მოადგილედ — ი. ლეკვეიშვილი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — დ. ლეჟავა.

მ. გაგუა.

დიდი ჯიხაიში,
სამტრედიის რაიონი.

რამდენიმე საათი „ძიუ-დოს მეფესთან“

ჰოლანდიიდან სსრ კავშირის სამბოს ფედერაციის სახელზე მოსულ დეპეშაში ნათქვამია, რომ ამ ქვეყნის ძიუდოისტთა ნაკრები გუნდი თანახმაა თებერვლის ბოლოს ჩვენს ქვეყანას ეწვიოს. გუნდს ა. გეეზინკი უდგას სათავეში. საქართველოს ჭიდაობის მოყვარულებმა, რა თქმა უნდა, იციან: იგი ტოკიოს ოლიმპიადის, ევროპისა და მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონია

შარშან ამ გამოჩენილ სპორტსმენს ორჯერ შევხვდი. იგი ლუქსემბურგში გავიცანი, ძიუდოისტთა ევროპულ ჩემპიონატზე. გეეზინკი პირდაპირ ტოკიოდან ჩამოფრინდა, სადაც საკუთარი წიგნის გამოცემის საქმეებს აგვარებდა. დიქტორმა გამოაცხადა ჰოლანდიელი ჰერკულესის გვარი — დარბაზი მქუხარე ტაშითა და მხიარული შეძახილებით შეხვდა მას. გეეზინკმა მადლობის ნიშნად რამდენიმეჯერ დააქნია თავი და შემდეგ ჩვენს ძიუდოისტებს მიესალმა. ჰოლანდიელს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ო. სტეპანოვთან, ფ. ჩიკვილაძესთან, ა. ქიბროწაშვილთან და ა. კიკნაძესთან.

ლუქსემბურგში ჩვენი ათლეტები ბრწყინვალედ გამოვიდნენ და ზედიზედ მეოთხედ მოიპოვეს ევროპის ჩემპიონის წოდება. მახსენდება გეეზინკის სიტყვები: „საბჭოთა ძიუდოისტები ჩინებული მებრძოლები არიან. ფიზიკური მომზადების მხრივ მათ ნაკლს ვერ უპოვი. ტექნიკაში კი... ხარვეზები ჯერ კიდევ აქვთ“.

3 თვის შემდეგ უტრეხტს ვეწვიე. იქ ევროპის პირველობა ტარდებოდა ცურვაში, წყალში ხტომასა და წყალბურთში. უტრეხტი სიდიდის მხრივ ნიდერლანდების მეოთხე ქალაქია, სადაც ბევრია თანამედროვე ტიპის საწარმო და კულტურული დაწესებულება, მაგრამ უტრეხტის მთავარი ღირსშესანიშნაობა ის გახლავთ, რომ ამ ქალაქში ცხოვრობს ანტონ გეეზინკი. მისი ბინის მიგნება მე და ჩემს კოლეგას საკდესიდან ლ. ლიტვაკს სულაც არ გაგვჭირვებია. გეეზინკს უტრეხტში იცნობს ყველა, დიდი თუ პატარა, ამიტომ პირველივე შემხვედრმა გზა დაწვრილებით მიგვასწავლა.

„ძიუ-დოს მეფე“ ცხოვრობს უტრეხტის ახალ რაიონში, თავისივე სახელობის ქუჩაზე — „გეეზინკ სტრაატ 13“-ში. ჩვენი „მოსკვიჩი“ მიადგა თანამედროვე ტიპის თეთრ სამსართულიან შენობას. პირველი სართულის გაჩირაღდნებული ფანჯრებიდან დავინახეთ სპორტული დარბაზი და შიგ მოფუსფუსე სპორტსმენები.

კარი დიასახლისმა გაგვიღო და იმავ წამს დარბაზში მოვხვდით. ოჯახის უფროსი თეთრ კიმონოში გამოწყობილ ახალბედებს ავარჯიშებდა. მოვარჯიშეთა შორის რამდენიმე ცნობილი ძიუდოისტიც იყო: ჩვენ ხელად ვიცანით ლუქსემბურგის ჩემპიონატის პრიზიორები — ძმები იან და პიტერ სნაიდერსები, ვიცანით ტ. კლაინიც.

სანამ გეეზინკი მოიცლიდა, მასპინძლობა მისმა შესანიშნავმა მეუღლემ გაგვიწია. სწორედ მან აგვიხსნა, რომ ძიუ-დოს სკოლა, რომელსაც ანტონი ხელმძღვანელობს, დაახლოებით 500 სპორტსმენს აერთიანებს. მომეცადინეები მეტწილად უტრეხტელი ახალგაზრდები არიან, მაგრამ სკოლის მოსწავლეთა შორის სხვა ქალაქების მკვიდრთაც შეხვდებით. რამდენიმე ენთუზიასტი კი რეგულარულად ჩამოდის ბელგიიდან, დანიიდან, გფრ-იდან. სწავლების ფასი მცირეა — თვეში 4-5 გულდენი (როგორც შემდეგ გავიგეთ, კინოს ბილეთი 3 გულდენია). საწვრთნელი ვარჯიში მხოლოდ საღამოობით ტარდება.

სახლის მეორე და მესამე სართული გეეზინკის ოჯახის წევრებს უჭირავთ. ჩემპიონს ორი ქალიშვილი (13 წლის ვილი, 11 წლის ლენი) და ერთი ვაჟი (7 წლის ანტონი) ჰყავს. ბიჭუნა უკვე კარგად ფლობს ძიუ-დოს ანბანს და, დედის თქმით, ხანდახან „უგებს“ კიდეც ჩემპიონს.

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ უფროსმა ანტონმა ჭიდაობა 13 წლის ასაკში დაიწყო, — გვითხრა გეეზინკის მეუღლემ. — აკი რომ, უმცროსს წარმატების მეტი შანსი აქვს.

გამოცხადდა შესვენება და ოჯახის უფროსიც მოგვიახლოვდა. მსოფლიო ჩემპიონი შესანიშნავი მოსაუბრეა. მან დაწვრილებით გამომკითხა საბჭოთა ძიუდოისტების ამბავი და ყველასთან სათითაოდ მოკითხვა დამაბარა. ფარნაოზ ჩიკვილაძის დაღუპვა სცოდნია. ცოდოა ფარნაოზი, კარგი ბიჭი და ჩინებული სპორტსმენი იყოო, თქვა.

გეეზინკს გადავეცი რამდენიმე ფოტოსურათი, სადაც იგი საბჭოთა სპორტსმენებთან ერთადაა გადაღებული. გადავეცი გაზეთ „ლელოს“ ნომერი, რომელშიც ჩემი წერილი იყო დაბეჭდილი ლუქსემბურგის ჩემპიონატის შესახებ. მან ინტერესით დაათვალიერა „ლელო“ და თქვა: „პირველად ვხედავ ასეთ ორიგინალურ და ლამაზ შრიფტს“.

თავის გეგმებზე გეეზინკმა გვითხრა:

— 32 წლისა ვარ, მაგრამ ძიუ-დოს თავს ჯერ არ ვანებებ. 1967 წელს ევროპისა და მსოფლიო პირველობებში მონაწილეობის მიღება მაქვს განზრახული. მოხარული ვიქნები, თუ ოდესმე მეღირსა სსრ კავშირში ჩასვლა.

გამოჩენილი სპორტსმენის ოცნება სულ მოკლე ხანში შეისხამს ფრთებს: როგორც სსრ კავშირის ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ვ. ანდრეევმა განაცხადა, ჰოლანდიელთა პირველი გამოსვლა სსრ კავშირში 22 თებერვალს შედგება მოსკოვში. შემდეგ სტუმრები ეწვევიან მინსკსა და რიგას.

ჰ. ხაჩკოვანიანი,
სსრ კავშირის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

• • •

ევროპის ჩემპიონატის დღეებში ა. გეეზინკი უტრეხტის საცურაო აუზის ხშირი სტუმარი იყო. ამ სურათზე თქვენ მას სწორედ მაყურებლის როლში ხედავთ...

ფოტო ავტორისა.

მ. მერჯანოვი

ფეხბურთის ოლიმპზე

ა. რამსეიმ ჟურნალისტებს უთხრა: „ჩემი ტაქტიკა აგებულია ბობი ჩარლტონზე გაანგარიშებით. იგი რომ არ ყოფილიყო, არ ვიცი რა გეგმით ვითამაშებდით, მაგრამ, ცხადია, რომ ამ გეგმით — არა“.

ვკითხულობ ამ ფრაზას ჩემს ბლოკნოტში, ხოლო როცა მინდორს ვუყურებ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ რ. ჩარლტონი ანდრეი ბიბას მაგონებს ისევე, როგორც შეტევის მთელი ინგლისური ორგანიზაცია — კიევის „დინამოსას“. შემსრულებლები განსხვავდებიან, მაგრამ პრინციპები ერთნაირი აქვთ.

მაგრამ ინგლისელები უტევდნენ, გოლები კი არ ჩანდა. ურუგვაელთა მეკარე მაზურკევიჩმა არაერთხელ აჩვენა მაღალი ოსტატობა, ხოლო ტროჩე, რომელიც თითქმის მის გვერდით თამაშობდა, დინჯად წმენდდა თავისი კოლეგების შეცდომებს დაცვაში.

მცველთა დამამსხვრეველი ძალა უდიდესი იყო. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ურუგვაელებმა არ იციან როგორ ითამაშონ შეტევაში. მე კი მახსოვს ეს გუნდი ჩილეში, ჩვენი ნაკრების წინააღმდეგ მატჩში და მანამდეც, როცა მან აჩვენა კარგი, შემტევი ფეხბურთი. ე. ი. თამაში „ყრუ დაცვით“, რასაც ჩვენში „დახურულ ვარიანტს“ უწოდებენ, მათს ტაქტიკას წარმოადგენდა ინგლისელებთან შეხვედრაში.

პირველმა მატჩმა, პირველმა ნულიანმა ფრემ ერთგვარად შეაშფოთა მაყურებლებიც და პრესაც. ნუთუ ასეთი თამაში იქცევა უმაღლესი დონის მატჩების ეტალონად? მაგრამ მეორე დღესვე, როცა შედგა შეხვედრები სხვა ჯგუფებში, ეს საკითხი თავისით მოისპო.

მართალია, აღნიშნული მატჩი ინგლისელთათვის ტიპიური არ წარმოადგენდა: მასში არ იყო ის სიზუსტე და გამომსახველობა, რომლებიც ჩვენ მოგვიანებით ვიხილეთ. მაგრამ თავდამსხმელების ახალმა განლაგებამ, შრომისუნარიანობამ, მაღალმა ტემპმა, ძალისმიერი ბრძოლის ტექნიკამ, დაბოლოს, ჩარლტონის, ბოლის, კოენის მანევრებმა უკვე იმ პირველივე მატჩში ცხადყო, თუ რაზეა გუნდი დამიზნებული.

მაგრამ ლონდონელ მაყურებლებს, ეტყობა, ეს არ აკმაყოფილებდათ. მათ თვალწინ ჰქონდათ კონკრეტული მატჩი და სურდათ კონკრეტული გამარჯვებაც ენახათ. კიდევ მეტი: მათ დაპირდნენ ამ გამარჯვებას. ალბათ, ამიტომ ბუზღუნებდნენ ისინი მატჩის შემდეგ. მაყურებლები ადრინდებულად აღარ აფრიალებდნენ დროშებს. მათ გუნება წაუხდათ და ეჩვენებოდათ, რომ „ოქროს ქალღმერთი“ თვალსა და ხელს შუა ეკარგებათ...

სენსაციები

სანდერლენდის ჯგუფში, სადაც ჩვენი გუნდიც თამაშობდა, გათამაშება დაიწყო 12 ივლისს. დაიწყო მიდლსბროში, პატარა, მიყრუებულ სტადიონზე, რომელსაც, რა თქმა უნდა, საუცხოო მინდორი აქვს. საბჭოთა ფეხბურთელები ხვდებოდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს. მსოფლიო ჩემპიონატის წინ მასზე ბევრს ლაპარაკობდნენ. იდუმალებამ, რომლითაც მოსილი იყო ეს გუნდი, წარმოშვა ათასგვარი მონაჭორი მის მომზადებაზე, ზებუნებრივ ფიზიკურ ძალაზე, ტექნიკაზე, ტაქტიკაზე და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა სპეციალისტებმა კორეელები ნახეს ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, ეს იდუმალება მაინც არ გაქრალა, ნერვიულობამ კი იმატა.

ეს იგრძნობოდა მატჩის პირველივე წუთებიდან. ჩვენებმა თამაში დაიწყეს ქაოტურად, უწესრიგოდ, თითქოს ისინი ებრძოდნენ არა მინდორზე მოქმედ რეალურ გუნდს, არამედ იმ იდუმალს, რომელზეც ადრევე წაიღეს ყურთასმენა და რომელიც ახლავე, ამ წუთს გვაჩვენებდა თავის საოცრებებს ტექნიკასა და ტაქტიკაში. როცა საქმე საქმეზე მიდგა, ყველაფერი გაცილებით უფრო მარტივი აღმოჩნდა, მაგრამ ჩვენმა სპორტსმენებმა ეს გაიგეს მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ მატჩის დაწყებიდან. კორეელთა გუნდი, ეჭვს გარეშეა, სიახლეს წარმოადგენდა და რამდენიმე ნამდვილი ოსტატიც ჰყავდა, მაგრამ მან ვერ შეძლო სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია ჩვენთვის. კერძოდ, იარაღი დაჰყარა ფიზიკურ ბრძოლაში და დამარცხდა — 0:3.

და მაინც, უნდა ითქვას, აზიელმა ფეხბურთელებმა აჩვენეს ვაჟკაცობის, ნებისყოფისა და სიმტკიცის საუცხოო ნიმუში, რამაც შემდგომში მათ გარკვეული სამსახური გაუწია მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში. როგორც ცნობილია, მათ ფრედ ითამაშეს ჩილესთან და დაამარცხეს იტალიელები. ამის მეოხებით გუნდი მეოთხედფინალში გავიდა.

კორეელთა გამოსვლას უდავოდ შეიძლება სენსაციური ვუწოდოთ. ამაში იოლად დავრწმუნდებით თუნდაც იმ ბოლო მატჩის მიხედვით, როცა ისინი პორტუგალიელებს ამარცხებდნენ ანგარიშით 3:0.

საბოლოოდ, სანდერლენდის ჯგუფში ნამდვილად საინტერესო თამაშები არ ყოფილა. ბრძოლას აქ უმთავრესად ძალისმიერი ხასიათი ჰქონდა, მოკრძალებული ცდით მეტოქის კარის შეტევაზე და გაძლიერებული ყურადღებით საკუთარის დაცვაზე. ბუნებრივია, საერთო ტენდენციამ აქაც მოაღწია. ყველაზე შემტევი გუნდი ისევ ჩვენი იყო, მაგრამ საიერიშო ხაზის სუსტი შემადგენლობა საშუალებას არ გვაძლევდა მთლიანად მოგვეხდინა მწვრთნელთა გეგმების რეალიზაცია.

ნამდვილი ფეხბურთის ცენტრად იქცა ლივერპული, სადაც თამაშობდნენ III ჯგუფის გუნდები — ბრაზილია, უნგრეთი, პორტუგალია, ბულგარეთი. ზევით უკვე ვთქვი, რომ ხშირად გვიხდებოდა მგზავრობა დიდ სანაოსნო ქალაქ ლივერპულში. სწორედ მისი ასეთი მდებარეობა იპყრობდა გერმანიის ბომბდამშენთა ყურადღებას ომის წლებში. ლონდონსა და ლივერპულს ყველაზე მეტი უბედურება დაატყდათ. და თუ დედაქალაქმა მოიშუშა ჭრილობები ამ 20 წლის მანძილზე, ლივერპულმა ეს ვერ შეძლო. ახლაც ნახავთ დანგრეულ კვარტალებს ნავსადგურის რაიონში, ჩამოხვრეულ სახლებს ქალაქის ცენტრში, ავიაბომბების ორმოებს, სადაც ახლა ბუჩქნარი ხარობს.

გარუჯული და დანგრეული სახლები დამპალი კბილებივით ჩანან და უნებურად გეცემიან თვალში ან ახლად აგებულ, ან ომის შემდეგ შეკეთებულ შენობათა შორის.

საერთოდ კი ლივერპული ულამაზო, გამურული და უსუფთაო ქალაქია, მაგრამ ეს ინგლისის ერთ-ერთი საფეხბურთო ცენტრია. შემთხვევითი არაა, რომ მისი საკლუბო გუნდები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეროვნულ გათამაშებებში. 1966 წელს ლივერპულის ერთმა კლუბმა მოიპოვა ინგლისის ჩემპიონის წოდება, ხოლო მეორემ თასი მოიგო.

ის-ის იყო, ჩამოვედით ქალაქში, საჩქაროდ დავყარეთ ბარგი შემთხვევით სასტუმროში და გავეშურეთ გუდისონ-პარკში, „ევერტონის“ კლუბის სტადიონზე. აქ უნდა გვენახა მსოფლიო ჩემპიონების — ბრაზილიელთა მატჩი უნგრელებთან, რომლებსაც ერთმანეთს შორის უკვე 12 წელია აღარ უთამაშიათ. მათი უკანასკნელი შეხვედრა ბერნში, მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში, სკანდალებით იყო აღსავსე. ერთ-ერთმა შვეიცარიულმა გაზეთმა ამ მატჩის ანგარიშს სათაურად დაარქვა: „პენალტები, გაძევებანი, უხეშობა, ისტერიკა“. მართლაც, მინდვრიდან გაძევებულ იქნენ ნ. სანტოსი, ბოჟიკი, ტოზი. ყოველივე ამას დაემატა ისიც, რომ ბრაზილიელებმა გასახდელში ჯემა-ტყეპა ატეხეს. ასე იყო.

და აი, მინდორზე გამოდიან მოწინააღმდეგეები. პირველი, რაც თვალში გვხვდება: ჩემპიონთა შორის არ არის პელე. და არა მარტო პელე. წინა მატჩი ბულგარეთთან ბრაზილიელებს ძვირად დაუჯდათ.

როგორღაც, ჩემპიონატამდე ერთი წლით ადრე, ვ. ფეოლამ თქვა: „ჩვენ არ შეგვიძლია მხოლოდ პელეს იმედით დავრჩეთ. იგი ჩილეში დაშავდა ჯგუფური ტურნირის ერთ-ერთ პირველ შეხვედრაში და ვერ ითამაშა გადამწყვეტ მატჩებში. ვფიქრობ, იგი ინგლისშიც პირველივე შეხვედრაში გამოვა მწყობრიდან“.

უნებურად გამახსენდა ეს სიტყვები. სამწუხაროდ, ფეოლა წინასწარმეტყველი აღმოჩნდა. პელეს მართლაც არ შეეძლო თამაში უკვე პირველივე მატჩის შემდეგ.

რას იზამ: ბრაზილიას მოუხდება უპელეოდ თამაში.

და მაინც ორივე გუნდმა აჩვენა ისეთი ფეხბურთი, რომელიც, საერთო აზრით, ყველაზე საინტერესო იყო ჩემპიონატში. ეს საფეხბურთო კლასიკა გახლდათ.

ინტერესი მატჩისადმი უდიდესი იყო. მას დიდი ხანია ელოდნენ, განსაკუთრებით, უნგრელები. ისინი ოცნებობდნენ ეთამაშათ გუნდთან, რომელმაც არ იცოდა რა იყო მარცხი ბოლო ორი მსოფლიო ჩემპიონატის მანძილზე. ამასთან, უნგრელებს ზუსტად იმ დღეებში ჩემპიონატის პირველ ტურში საერთო უპირატესობა ჰქონდათ პორტუგალიელებთან, მაგრამ ნერვიულობისა და მეკარე სენტმიხაის დაბნეულობის გამო დამარცხება იწვნიეს. მაგრამ მატჩი ბრაზილიელებთან შესანიშნავი გამოდგა. აქ ნახავდით ყველაფერს: მაღალ ტექნიკას, თანამედროვე ტაქტიკას, ჩინებულ ტემპს, გამარჯვებისადმი დაუოკებელ სწრაფვას. ნახავდით ბრწყინვალე კომბინაციებს, ორიგინალურ ტაქტიკურ ჩანაფიქრს, ურთულეს ტექნიკურ ილეთებს. ერთი სიტყვით, ეს იყო უმაღლესი კლასის მატჩი.

სათამაშო სიტუაციათა სწრაფ ცვლაში შეიძლებოდა ორივე გუნდის განზრახვათა ნამდვილი აზრისა და მოქმედებათა გარკვეული გეგმის გარჩევა. მათ არც უფიქრიათ ჩაკეტილიყვნენ თავიანთ საჯარიმო მოედნებთან.

მატჩის 90 წუთის მსვლელობაში მინდორზე მხოლოდ შემტევი სულისკვეთება სუფევდა, ეს იყო ფეხბურთის სილამაზით აღსავსე, მოიერიშე პრინციპების დემონსტრაცია. ყველაფერი ეს ცხადყოფდა თამაშის მაღალ კულტურას. მას ამშვენებდა ახალი ტაქტიკური ფორმების გონივრული გამოყენება.

გაგრძელება

იხ. შემდეგ ნომერში...

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ **№№ 31, 32, 33.**

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ კვირაში

მოტოსპორტი. დელისის მიდამოები. **19 თებერვალი. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პირად-გუნდური პირველობა და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრება.** დასაწყისი 12 ს.

ჭადრაკი. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **19 თებერვალი. თბილისის ქალთა და ვაჟთა ჩემპიონატები.** დასაწყისი 17 ს.

ფეხბურთი. „დინამოს“ სტადიონი. **21 თებერვალი. ზამთრის საკავშირო პირველობა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე. „დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი).** დასაწყისი 17 ს. 45 წ.

22 თებერვალს

თბილისის რესპუბლიკურ ზამთრის საცურაო აუზში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ) იწყება **წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი,** რომელშიც მონაწილეობენ „ლერიჩი-სპორტი“ (იტალია), „იადრანი“ (იუგოსლავია), „დინამო“ (თბილისი) და „ლოკომოტივი“ (თბილისი).

მოგვყავს შეჯიბრების კალენდარი:

22. „დინამო“ —
„ლოკომოტივი“.
„იადრანი“ —
„ლერიჩი-სპორტი“.

23. „ლოკომოტივი“ —
„იადრანი“.
„დინამო“ —
„ლერიჩი-სპორტი“.

24. „ლოკომოტივი“ —
„ლერიჩი-სპორტი“.
„დინამო“ —
„იადრანი“.

დასაწყისი 18 ს. და 30 წ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.